Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#4, თებერვალი, 2018

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობისადმი სტუდენტების დამოკიდებულება და ცნობადობა

ანა პაპიაშვილი, მარიამ ოძელაშვილი, მარიამ ჯიბუტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: anukip@live.com

mariamodzelashvili7@gmail.com

mariamjibuti3@gmail.com

აბსტრაქტი

სოციალური პასუხისმგებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვაგვარად აღიქმება. მნიშვნელოვანია, გამოიყოს უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა მომუშავე პერსონალისა და სტუდენტების მიმართ, თუმცა, აღსანიშნავია ისეთი ექსტერნალური პროცესების გათვალისწინებაც, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესება, დასაქმების პოლიტიკა, უნივერსიტეტის შიგნით მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა და ა.შ. კვლევის მიზანია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების დამოკიდებულებისა და ცნობადობის გაზომვა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა, თუმცა, მხოლოდ კონკრეტულ ინდიკატორებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, აღიქმება თუ არა ეს პროცესები სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილად. საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი და სტუდენტთა რაოდენობრივი გამოკითხვა. სისტემური შერჩევის დიზაინის გამოყენებით გამოვიკითხეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ოთხივე კურსის 200 სტუდენტი. რესპონდენტთა რაოდენობა კვოტირებით გადანაწილდა მიმართულებებისა და კურსების მიხედვით. ჩვენი კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენდა შემდეგი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სხვა კურსებთან შედარებით, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს უფრო მეტი ცოდნა აქვთ. მონაცემების ანალიზის შედეგად ჰიპოთეზა არ გამართლდა. სპირმენის კორელაციის (-0.02) დათვლილი კოეფიციენტის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა კურსის ზრდასთან ერთად მათი ინფორმირებულება არ იზრდება. კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა გამართლდა - რესპონდენტთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია ტერმინის მნიშვნელობისა და მისი გამოვლინებების/კრიტერიუმების შესახებ, თუმცა, გამოკითხვის ფარგლებში შეთავაზებული განმარტების შემდეგ მათი ცოდნის დონე ამაღლდა. კითხვარში წარმოდგენილ პრეტესტ-პოსტტესტურ შეკითხვას პოზიტიური შედეგი მოჰყვა - რესპონდენტების აზრით, მათი ცნობადობა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ გაიზარდა.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, აკადემიური თავისუფლება, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა.

შესავალი

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა თანამედროვე ტერმინია, რომელმაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა ადგილი. უნივერსიტეტს, თავისთავად, ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობები სტუდენტების, მომუშავე პერსონალისა და

გარემოპირობების მიმართ. თუმცა, ტერმინი "აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა" ჩამოთვლილ კრიტერიუმებს ფორმალურ კონტექსტში აერთიანებს, უნივერსიტეტს კი პასუხისმგებლობათა განსაზღვრულ მიმართულებებსა და სპექტრს უწესებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თავის თავზე აღებული პასუხისმგებლობის შესასწავლად საჭიროა, ვფლობდეთ ინფორმაციას არსებულ ინდიკატორებსა და ინსტიტუციის მუშაობის წესზე, ვიცნობდეთ მის წესდებას და ა.შ.

კვლევის მიზანია თავდაპირველად შეფასდეს თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტების ცნობადობა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ; შემდგომ კი, საკვლევი საკითხის კონტექსტში გაიზომოს მათი დამოკიდებულება უნივერსიტეტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიმართ. საბოლოო მიზანი კი არის ის, რომ ყოველივე აღნიშნული განხილულ იქნას რესპონდენტების სასწავლო კურსთან მიმართებით.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზაა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სხვა კურსებთან შედარებით, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს უფრო მეტი ცოდნა აქვთ.

გამოკითხვის საწყის ეტაპზე, ცნობადობის შეფასების ბლოკში, შევიმუშავეთ შემდეგი **სამუშაო ჰიპოთეზა:**

- რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს არ აქვს ინფორმაცია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობისა და კრიტერიუმების შესახებ;

ხოლო შემდგომ ეტაპზე, შესასწავლი საკითხის მიმართ დამოკიდებულების ბლოკში, **სამუშაო ჰიპოთეზად** განვსაზღვრეთ:

- კითხვარის პირველი ეტაპის ბოლოს საკვლევი ტერმინის შეთავაზებული განმარტება რესპონდენტთა ინფორმირებულობის მხრივ პოზიტიურ ცვლილებას გამოიწვევს;

ლიტერატურის მიმოხილვა

ფრენსის ვალისი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ტერმინი ზუსტად განსაზღვრა და ის უნივერსიტეტს დაუკავშირა. ვალისის მიხედვით (2007), სოციალური პასუხისმგებლობა ესაა ეთიკური სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ორგანიზაციულ დონეზე, საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედებას. სოციალური პასუხისმგებლობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში კი სხვადასხვაგვარად აღიქმება. სოციალური პასუხისმგებლობა უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს ახალ მისიას, რომელიც მკვიდრდება იმ არგუმენტით, რომ

უმაღლესი განათლება უკეთესია, როდესაც ის საკუთარ დამფინანსებელ საზოგადოებას უბრუნებს და აქცევს ყურადღებას.

უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის (USR) იდეა დაიბადა ჩილეში 2001 წელს 13 უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით. ამ უნივერსიტეტებმა შექმნეს ძლიერი ქსელი იმ მიზნით, რომ გაეფართოვებინათ უნივერსიტეტების სოციალური პასუხისმგებლობის კონცეპტი და ეს პრაქტიკა ჩილეს სხვადასხვა უნივერსიტეტში დაენერგათ (Vallaeys, 2007).

დონალდსონისა და მისი კოლეგების აზრით, პირველი კითხვა, რომელიც ამ საკითხზე საუბრისას ჩნდება არის ის, თუ ვის მიმართ გააჩნია უნივერსიტეტს პასუხისმგებლობა? მკვლევრები, რომლებიც ყურადღებას ინტერნალურ პროცესებზე ამახვილებენ, ხაზს უსვამენ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას მომუშავე პერსონალისა და სტუდენტების მიმართ. თუმცა, იკვეთება ექსტერნალური პროცესების განხორციელების პასუხისმგებლობაც, მაგალითად, ეთიკური პრინციპების წინ წამოწევა, როგორც ყოველდღიურ, ასევე საქმიან, პარტნიორულ და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა. აკადემიურ სივრცეში სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად ხორციელდება სოციალური, სუბკულტურ სოციალური, ეთიკური, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი, კოგნიტური, ორგანიზაციული, ფილანტროპიული და ეკონომიკური კომპონენტების მეშვეობით (Donaldson, Shu-Hsiang & Nasongkhla, 2015).

ვალისის და მისი კოლეგების ხედვით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა არის უნივერსიტეტის არჩევანი ჩამოაყალიბოს ღირებულებები და პრინციპები 4 გზით, ესენია: პასუხისმგებლიანი კამპუსი, სოციალური ცოდნის მენეჯმენტი, პროფესიული და სამოქალაქო განათლება და სოციალური ჩართულობა. სხვა სიტყვებით, უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს, რაზე აგებენ ისინი პასუხს, ვიზე აგებენ პასუხს და რა სახით არიან პასუხისმგებელნი ჩამოთვლილზე (Vallaeys, De La Cruz, Sasia. 2009).

რას აკეთებს უნივერსიტეტი რეალურად? რაზე და ვისზე აქვს მას გავლენა? როგორ შეიძლება უნივერსიტეტი გახდეს სოციალური ცვლილების აგენტი და დააგროვოს ახალი ცოდნა მდგრადი განვითარებისათვის? რა ღირებულებებს უნერგავს ის თავის აკადემიურ და არააკადემიურ პერსონალს? იმისათვის, რომ უნივერსიტეტი რეალურად ჩაებას სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესში, ვალისის აზრით, მან უნდა უპასუხოს ჩამოთვლილ შეკითხვებს. ამისთვის საჭიროა გამოიყოს 4 მთავარი მიმართულება, რომლებზეც უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს.

- ორგანიზაციული გავლენა - ინტერნალური ორგანიზაციული გავლენა, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის თემსა და გარემოზე.
- საგანმანათლებლო გავლენა - აკადემიური გავლენა, რომელიც დაკავშირებულია ცოდნის გაზიარებასთან.
- კოგნიტური გავლენა - აკადემიური გავლენა, რომელიც ეხება ახალი ცოდნის დაგროვებას.

- სოციალური გავლენა- ექსტერნალური ორგანიზაციული გავლენა, რომელიც პირდაპირ ეხება საზოგადოებას (Vallaeys, 2013).

ონლაინ სივრცეში გავრცელებული კვლევები ძირითადად კონცენტრირდება ერთი კონკრეტული უნივერსიტეტის მაგალითზე და უმრავლესობა თავად უნივერსიტეტის მიერ არის ჩატარებული. ერთ-ერთი ასეთია 2013 წლის დეკემბერში პუერტო რიკოს უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევა: "უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა: სწავლის, სწავლების, კვლევისა და ინოვაციის სოციალური ტრანსფორმაცია". კვლევაში მონაწილეობა მიიღეს პუერტო რიკოს უნივერსიტეტის ყველა მიმართულების სტუდენტებმა და შეაფასეს აღნიშნული ორგანიზაციის სოციალური აქტივობა, კონკრეტულად, სოციალური პასუხისმგებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი. როგორც გაირკვა, სტუდენტთა უმრავლესობა უფრო მეტად ემხრობოდა იმ აზრს, რომ უნივერსიტეტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ვიდრე არ ემხრობოდა. კვლევის ფარგლებში გამოიყო კონკრეტული ინდიკატორები, რომელთა გაზომვითაც დგინდებოდა მათი საერთო შეფასება. როგორც აღნიშნული კვლევიდან ირკვევა, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესრულების ხარისხის ემპირიულად გაზომვა მიღებული პრაქტიკაა (Gómez, Morales & Vadi. 2014).

მეთოდოლოგია

აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ცნობადობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი განხორციელებისადმი დამოკიდებულების შესასწავლად გამოვიყენეთ, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. ტერმინის ზუსტი განმარტების გასაცნობად მივმართეთ დოკუმენტების ანალიზს; ინტერნეტ-მასალების დამუშავების შედეგად გამოვყავით სფეროები და მიმართულებები, რომელთაც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს. ამან საშუალება მოგვცა, ჩამოგვეყალიბებინა ის ინდიკატორები, რომელთა დახმარებითაც გავზომავდით სტუდენტების ცნობადობასა და დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ კითხვარის შედგენისას დიდწილად დავეყრდენით თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის წესდებას, რაც დაგვეხმარა ინდიკატორები უნივერსიტეტის რეალობისთვის მოგვერგო.

კვლევის რაოდენობრივ ნაწილში ჩავატარეთ გამოკითხვა. გამოვიყენეთ ალბათური შერჩევის ტიპი - სისტემური შერჩევა. შერჩევამ მოიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ოთხივე საფეხურის სტუდენტები. სულ გამოიკითხა 200 სტუდენტი. იმისათვის, რომ შერჩევა ყოფილიყო რეპრეზენტატული, მიმართულებებისა და კურსების მიხედვით, რესპონდენტები პროპორციული კვოტირების პრინციპით გადანაწილდნენ. Excel-ის ბაზაში შევიყვანეთ სტუდენტების საერთო მონაცემები, რომელთაგანაც

რენდომულად ამოვარჩიეთ ჩვენი რესპონდენტები, რათა დაცული ყოფილიყო პროპორციული კვოტირების პრინციპი. შერჩეულ სტუდენტებს კითხვარი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადავუგზავნეთ.

კითხვარი შედგებოდა ორი ბლოკისგან - აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ცნობადობისა და დამოკიდებულებისგან. ვივარაუდეთ, რომ ჩვენს რესპონდენტებს არ ექნებოდათ ინფორმაცია შესასწავლი საკითხის შესახებ. სწორედ ამიტომ პირველი ბლოკის დასრულებისას მათ შევთავაზეთ ტერმინის ნეიტრალური განმარტება, რათა მათი ინფორმირებულობის დონე გაზრდილიყო და შეძლებოდათ დამოკიდებულების ბლოკის უკეთ შეფასება.

იმისათვის, რომ საკვლევი საკითხი სიღრმისეულად შეგვესწავლა, თავდაპირველად, რესპონდენტებს შევთავაზეთ ერთგვარი ფილტრი შეკითხვა, რომელიც, ზოგადად, სოციალური პასუხისმგებლობისადმი ინფორმირებულობას ეხებოდა. თუმცა, აღნიშნული შეკითხვის პასუხების მიხედვით, გამოკითხვაში მონაწილე პირთა რაოდენობა არ შეცვლილა. მხოლოდ თავდაპირველი მდგომარეობის ასახვაში დაგვეხმარა ეს ინფორმაცია.

რამდენადაც კითხვარი მოიცავდა ექსპერიმენტის ელემენტს, სტიმულს, ტერმინის განმარტებით დებულებას, მისი გავლენის აღსაწერად კითხვარი შეიცავდა პრეტესტ-პოსტტესტურ შეკითხვას. რესპონდენტებს კვლევის დასაწყისსა და ბოლოში შევთავაზეთ იდენტური შეკითხვა: „იცით თუ არა, რა არის სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სფეროში?", რომელმაც საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა საკვლევი ცვლადის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონის ცვლილება.

შედეგები/ინტერპრეტაცია:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს კვლევაში რესპონდენტები გადანაწილებულნი იყვნენ მიმართულებისა და კურსის მიხედვით კვოტური შერჩევის საფუძველზე. კურსების შესაბამისად გამოკითხულთა წილი შემდეგნაირად გადანაწილდა - I კურსელი - 43, II – 46, III – 55, IV – 56 გამოკითხული.

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ცნობადობისა და დამოკიდებულების შეფასებას, ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, განგვესაზღვრა, ზოგადად, სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე. იმისათვის, რომ გაგვეანალიზებინა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შეხედულებები ამ ორ ცვლადის ურთიერთმიმართების შესახებ, დავითვალეთ კროსტაბულაცია. ერთმანეთს მივუსადაგეთ სოციალური პასუხისმგებლობისა და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის კითხვები (დიაგრამა #1).

დიაგრამა #1 - სოციალური პასუხისმგებლობისა და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობადობის შეკითხვების კროსტაბულაცია



როგორც აღმოჩნდა, მათ შორის, ვისაც სმენია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 90 რესპონდენტს მიაჩნია, რომ იცის, როგორ ვლინდება სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სივრცეში, ხოლო 83 ამ ინფორმაციას არ ფლობს. ჩვენი ვარაუდი, რომ რესპონდენტებს არ ეცოდინებოდათ, თუ რას მოიაზრებს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა, ამ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით, გამართლდა, რადგან უმეტესობა უარყოფით პასუხს აფიქსირებს - 27 რესპონდენტს, ზოგადად, სოციალური პასუხისმგებლობის შესახებაც კი არ სმენია.

ჩვენი ძირითადი ჰიპოთეზის სიღრმისეულად შესამოწმებლად, უმეტეს შეკითხვათა პასუხი დამოუკიდებელ ცვლადთან, კურსთან, მიმართებით განვიხილეთ. იმის გამო, რომ კვლევა ეხებოდა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობას, რესპონდენტებს შევთავაზეთ მრავალპასუხიანი შეკითხვა, რომელიც მოიცავდა საკვლევი ცვლადის შემადგენელ კომპონენტებს. მათგან უნდა აერჩიათ, რომელს მიიჩნევდნენ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილად (დიაგრამა #2).

დიაგრამა #2 - კურსისა და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტებისადმი ცნობადობის კითხვის კროსტაბულაცია



დიაგრამაზე წარმოდგენილი თითოეული კომპონენტი, რეალურად, არის აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი, თუმცა, პასუხების მიხედვით, ლოგიკური შედეგი მივიღეთ - თითქმის ყველა კურსის შემთხვევაში, გარდა მეორესი, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „საგანმანათლებლო“ კატეგორიაში. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ცნება „აკადემიური პასუხისმგებლობა“ თავისთავად ასოცირდება აკადემიურ, განათლების სფეროსთან. საინტერესო შედეგია „ფილანტროპულის“ შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კატეგორია შესასწავლი ცვლადის ერთ-ერთი კომპონენტია, რესპონდენტთა მინიმალურმა რაოდენობამ მიაკუთვნა სწორ პასუხს. ამ ყველაფრის მიზეზად, ალბათ, თავად ტერმინის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე უნდა მივიჩნიოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი რესპონდენტები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, შესაბამისად, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის ცვლადი საუნივერსიტეტო კუთხით სწორედ თსუ-ს კონტექსტში უნდა დაგვეკონკრეტებინა. სწორედ ამიტომ რესპონდენტებს შევთავაზეთ რამდენიმე დებულება. 5-ბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ, მათი აზრით,

რამდენადაა ინტეგრირებული თსუ აღნიშნულ აქტივობებში. ისეთ დებულებებში, როგორებიცაა: საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება ან სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების დანერგვა სასწავლო კურიკულუმში - რესპონდენტთა უმეტესობამ ერთგვაროვანი პასუხი დააფიქსირა და მიუთითა, რომ ამ აქტივობაში უნივერსიტეტი „უფრო არის ინტეგრირებული, ვიდრე არ არის“. თუმცა, საინტერესო შედეგი მივიღეთ დებულების, „შეხვედრების, დებატების, დისკუსიის გამართვა სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე“, შემთხვევაში (დიაგრამა #3).

დიაგრამა #3 - კურსისა და თსუ-ს აქტივობებში ინტეგრირების შესახებ კითხვის კროსტაბულაცია



თითოეული კურსის შემთხვევაში თითქმის, ერთნაირი შედეგია „საკმაოდ არის ინტეგრირებულის“ კატეგორიაში. ოთხივე კურსის რესპონდენტთა უმცირესი ნაწილი მიიჩნევს, რომ თსუ მართავს შეხვედრებს, დებატებსა და დისკუსიას სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე. შესაძლოა ეს განპირობებული იყოს თავად სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონით მსგავსი სახის აქტივობების შესახებ, თუმცა, იმის გამო, რომ განურჩევლად კურსისა, თითქმის, ერთნაირი შედეგი დაფიქსირდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტი ნაკლებად ახორციელებს მსგავსი ტიპის ღონისძიებებს.

ჩვენი ორბლოკიანი კითხვარის პირველი ნაწილი ორიენტირებული იყო თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ცნობადობის შეფასებაზე აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ. ამდენად, რესპონდენტებს შევთავაზეთ 9 დებულება, რომლებიც უნდა შეეფასებინათ, სწორი იყო თუ მცდარი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. რეალურად, მათგან მხოლოდ 6 იყო ჭეშმარიტი, შესაბამისად, 3 - მცდარი. იმისათვის, რომ განგვესაზღვრა, თუ რა ცოდნას ფლობდნენ რესპონდენტები, აღნიშნული დებულებები SPSS-ის მონაცემთა ბაზაში შევიტანეთ, როგორც 9 დიქოტომიური შეკითხვა. პასუხების კატეგორიები შემდეგნაირად გადავანაწილეთ: „სწორია“ – 1, „მცდარია“ – 0. იმისათვის, რომ გაცემული პასუხების რაოდენობა ჭეშმარიტება/მცდარობის კუთხით განგვესაზღვრა მოვახდინეთ აღნიშნული ცვლადის პასუხების რეკოდირება, რამაც ინდექსის დათვლის საშუალება მოგვცა. ინდექსის დახმარებით, დავადგინეთ, თითოეული კურსის მიხედვით, მიღებული „ქულების“ რაოდენობა - ვინ გამოიცნო ყველა სწორად (9 ქულა), ვინ ვერ გამოიცნო ვერცერთი და ა.შ. თუმცა, ინდექსით მხოლოდ ის განვსაზღვრეთ ვინ შეძლო 6 სწორი და 3 მცდარი დებულების ამოცნობა. ჩვენ არ ვიცით ჭეშმარიტი მიიჩნიეს მცდარად, თუ პირიქით, მათ, ვინც 8 ქულა ან უფრო ნაკლები დააგროვეს (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4 –კურსისა და აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებებზე გაცემული პასუხების ინდექსის კროსტაბულაცია



როგორც მეოთხე დიაგრამაზეც ჩანს, მათ შორის, ვინც 9-ვე დებულება სწორად ამოიცნო, მეოთხე კურსელები ჭარბობს - 10 რესპონდენტი, შემდეგ მეორე კურსი - 9. ყველაზე ცოტაა რაოდენობა მესამე კურსელებს შორის - 3 რესპონდენტი. საინტერესოა ისიც, რომ მხოლოდ ამ კურსის სტუდენტების ნაწილმა ვერ ამოიცნო სწორად ერთი დებულებაც კი. როგორც აღმოჩნდა, მათ საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

რადგანაც კვლევის დასაწყისშივე ვივარაუდეთ, რომ რესპონდენტებს არ ექნებოდათ საკმარისი ცოდნა შესასწავლი საკითხის შესახებ, გადავწყვიტეთ მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდა. ამ მიზნით კითხვარში, ცნობადობის ბლოკის ბოლოს, შევიტანეთ სტიმულის მსგავსი დებულება, რომელშიც ნეიტრალურად იყო განმარტებული, თუ რას ნიშნავს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა. მისი მიზანი იყო, ყველა რესპონდენტს გაადვილებოდა დამოკიდებულების ბლოკის შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ჩვენ ვერ შევძლებდით შეგვეფასებინა სტიმულის რეაქცია რესპონდენტებზე, თუ არ გამოვიყენებდით პრეტესტ-პოსტტესტურ შეკითხვას. სწორედ ამიტომ კითხვარის დასაწყისში, დემოგრაფიული ბლოკის შემდეგ, რესპონდენტებს შევთავაზეთ კითხვა: „იცით თუ არა, რა არის სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სფეროში?“. უცვლელად დავუსვით აღნიშნული შეკითხვა კითხვარის ბოლოსაც.

კითხვარის დასაწყისში შეთავაზებულ კითხვაზე ჭარბობდა უარყოფითი პასუხი. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ იცის, თუ რას მოიაზრებს სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სივრცეში (დიაგრამა #5).

დიაგრამა #5 - პრეტესტური შეკითხვა - იცით თუ არა, რა არის სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სფეროში?



რამდენადაც ამ შემთხვევაში, მხოლოდ სტიმულის გავლენა გვაინტერესებდა ჩვენს დამოკიდებულ ცვლადზე, ამიტომ მნიშვნელოვნად არ მივიჩნიეთ აღნიშნული კითხვის კროსტაბულაცია კურსის ცვლადთან. როგორც აღმოჩნდა, 200 რესპონდენტიდან 109-მ უარყოფითი პასუხი დააფიქსირა, ანუ არ აქვთ ინფორმაცია აკადემიურ სფეროში სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა პრეტესტ-პოსტტესტურმა კითხვამ შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ კითხვარის ბოლოს დასმული შეკითხვის პასუხებში წინასთან შედარებით ცვლილებებია (დიაგრამა #6).

დიაგრამა #6 - პოსტტესტური შეკითხვა - იცით თუ არა, რა არის სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სფეროში?



როგორც დიაგრამაზე ჩანს, „დიახ, ვიცი“ პასუხი ჭარბობს - 153 რესპონდენტი. ხოლო იმის საჩვენებლად, თუ რა ურთიერთმიმართება იყო პრეტესტური და პოსტტესტური შეკითხვების პასუხებს შორის, გადავწყვიტეთ ამ ორი კითხვის კროსტაბულაცია გაგვეკეთებინა (დიაგრამა #7).

დიაგრამა #7 - პრეტესტ-პოსტტესტური შეკითხვების კროსტაბულაცია



ვერტიკალურად მოცემული კატეგორიები შეესაბამება პრეტესტური შეკითხვის პასუხებს, ხოლო ჰორიზონტალური - პოსტტესტურისას. როგორც აღმოჩნდა, მათ შორის, ვინც თავდაპირველადვე მიუთითა, რომ იცის რა არის სოციალური პასუხისმგებლობა, 3-მა რესპონდენტმა კითხვარის ბოლოს აზრი შეიცვალა. ხოლო, ვისაც თავდაპირველად არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ, მათგან 65-მა რესპონდენტმა საბოლოოდ მიუთითა, რომ უკვე იცის, თუ რა არის სოციალური პასუხისმგებლობა აკადემიურ სივრცეში. შესაბამისად, ჩვენმა ნეიტრალურმა განმარტებამ შედეგი გამოიღო - რესპონდენტთა აზრით, მათი ინფორმირებულობის დონე გაიზარდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის დასაწყისში, ჰიპოთეზად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დებულება - უფროსკურსელებს უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული შეხედულების შესაფასებლად, აუცილებლად მივიჩნიეთ კურსისა და ცნობადობის ცვლადს შორის კორელაციის დათვლა. ჭეშმარიტობა/მცდარობის შემფასებელი შეკითხვის რეკოდირება უკვე მოვახდინეთ, რის შედეგადაც მან რიგის სკალის თვისება შეიძინა. ამასთან, კურსის ცვლადიც მსგავსი შინაარსის მქონეა, შესაბამისად დავითვალეთ სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი. აღნიშნული ცვლადების გაანალიზების შედეგად კორელაციის კოეფიციენტი მივიღეთ -0.02 - სუსტი უარყოფითი; ხოლო sig=0, შესაბამისად ამ მაჩვენებლის სტატისტიკურად მნიშვნელოვნებაზე შეგვძლია ვიმსჯელოთ, რადგანაც ის 0.05-ზე ნაკლებია. კორელაციის კოეფიციენტზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ჰიპოთეზა არ გამართლდა - კურსის ზრდას ინფორმირებულობის დონის პოზიტიური ცვლილება არ მოჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ სუსტი კოეფიციენტია, მთავარი ისაა, რომ უარყოფითი მაჩვენებელია. გამოდის, რომ ჰიპოთეზის საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა - მცირედი დოზით, მაგრამ კურსის მატებას ინფორმირებულობის დონის კლება მოჰყვება.

კვლევის ბოლოს რესპონდენტებს 5-ბალიან სკალაზე შევაფასებინეთ, მათი აზრით, რამდენადაა გამოვლენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა. რამდენადაც შეჯამებითი ხასიათის კითხვაა, საჭიროდ არ მივიჩნიეთ, მისი კურსის ცვლადთან კროსტაბულაცია (დიაგრამა #8).

დიაგრამა #8 - თსუ-ში გამოვლენილი აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შეკითხვის პასუხების სიხშირე



როგორც მერვე დიაგრამიდან ირკვევა, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, თსუ-ში აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა უფრო მეტად არ არის გამოვლენილი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 200 რესპონდენტიდან „სავსებით არის გამოვლენილი“ კატეგორია არცერთმა არ დააფიქსირა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს იყო კითხვარის ბოლო შეკითხვა, ანუ კვლევაში მონაწილე ინდივიდებს უკვე ჰქონდათ საკმარისი ცოდნა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და სწორედ გაზრდილი ინფორმირებულობის დონით შეაფასეს ეს შეკითხვა.

დასკვნა

გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტებს არ აქვთ ცოდნა აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. ჩვენი ჰიპოთეზა, რომ უფროსკურსელებს უფრო მეტი ინფორმაცია ექნებოდათ საკვლევი საკითხის შესახებ, არ გამართლდა - მეორე და მეოთხეკურსელ რესპონდენტთა პასუხები აკადემიურ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დებულებების ჭეშმარიტობა/მცდარობის ინდექსის მიხედვით, თითქმის, იდენტურია.

პრეტესტ-პოსტტესტურ შეკითხვებზე გაცემული პასუხების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზები გამართლდა. რესპონდენტთა უმრავლესობამ კითხვარის დასაწყისში მიუთითა, რომ არ ფლობს ინფორმაციას შესასწავლი საკითხის შესახებ, თუმცა, სტიმულის შემდეგ დასმულ იდენტურ შეკითხვაზე დადებითი პასუხების წილი გაიზარდა, მაგრამ

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ეს ცვლილება აუცილებლად ჩვენ მიერ შეთავაზებულმა განმარტებამ გამოიწვია. აღნიშნული შედეგის გამომწვევი შესაძლოა ყოფილიყო სტიმულის გაწყვილება ინფორმატიულ დებულებებთან.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილშია აღწერილი, უნივერსიტეტს აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია ორი კუთხით - ინტერნალური და ექსტერნალური, თუმცა, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულფასოვნად არ ახორციელებს იმ ტიპის ღონისძიებებს, რომლებიც აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესრულების საზომად შეიძლება მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, რადგანაც კითხვარში გამოყენებული ინდიკატორები ეფუძნებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში ფორმალურად გაწერილია აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტები, თუმცა, როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რესპონდენტთა აზრით, აღნიშნული პუნქტები უმეტეს შემთხვევაში არ სრულდება. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც, რომ მიღებული პასუხების გათვალისწინებით, აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობადობის დონე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის საფეხურის ნებისმიერი კურსის სტუდენტებში დაბალია.

ბიბლიოგრაფია:

Gómez, L., B. Morales, and J. Vadi. "University social responsibility: A social transformation of learning, teaching, research and innovation." In *Proceedings 9 h Quest Conference for Global Competitiveness*, pp. 13-14. 2014.

Shu-Hsiang, C. H. E. N., Nasongkhla, J., & Donaldson, J. A. (2015). University social responsibility (USR): Identifying an ethical foundation within higher education institutions. *TOJET: The Turkish Online Journal of Educational Technology*, *14*(4).

Vallaeys, F. (2014). University social responsibility: a mature and responsible definition. *Higher Education in the World*, *5*, 88-96.

Vallaeys, F., De La Cruz, C. & Sasia, P.M. (2009). Responsabilidad Social Universitaria, Manual de Primeros Pasos. McGrawHill: Mexico D.F

Vallaeys, François. "Responsabilidad social universitaria. Propuesta para una definición madura y eficiente." *México: Tecnológico de Monte Rey. Recuperado de* (2007).